ინოვაციური პოლიტიკა

ლუარა გვაჯაია
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მიღწევა შეუძლებელია ეკონომიკის ინოვაციური გზით განვითარების გარეშე. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ნამატის 75-80 პროცენტი მოდის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წილად. ეკონომიკის ინოვაციური გზით განვითარების მთავარი ბერკეტია **სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა**, იგი როგორც სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, გამოხატავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას ინოვაციური საქმიანობისადმი, განსაზღვრავს ინოვაციური სტრატეგიის მიზნებსა და პრიორიტეტებს, საქმიანობის ფორმებს მეცნიერების, ტექნიკის სფეროში. სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა წარმოგვიდგება ეკონომიკასა და მთლიანად საზოგადოებაზე სახელმწიფო სტრუქტურების ზემოქმედების მიზნების, ორგანიზაციული ღონისძიებებისა და მეთოდების კომპლექსის სახით, რამაც უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში ინოვაციური პროცესების ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის ამაღლება.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილების განზოგადოება შესაძლებლობას იძლევა ჩამოყალიბდეს **სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი მიზნები:**

- ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული ამოცანებიდან გამომდინარე ინოვაციური საქმიანობის პრიორიტეტების დადგენა;
- მსხვილი პროგრამების დამუშავება სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებზე;
- ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული პირობების შექმნა ინოვაციური საქმიანობისთვის;
- ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერის გაფართოება, სახელმწიფო რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება;
- წარმოების ეფექტიანობის და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება საბაზო და გამაუმჯობესებელი ინოვაციების შექმნისა და გავრცელების გზით;
- ინოვაციური ინფრასტრუქტურის ფორმირება.

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ერთერთი **მთავარი პრინციპია** ინოვაციური საქმიანობის პრიორიტეტული მნიშვნელობის აღიარება წარმოების ეფექტიანობის, მეცნიერებატევადი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის, მოსახლეობის ცხოვრების დონის და ეკოლოგიური უსაფრთხოების ამაღლების საქმეში. აღნიშნულის შედეგად მიღწეული უნდა იქნეს რესურსების დაზოგვის მაღალი მაჩვენებელი, პროდუქციის მასალატევადობის და კაპიტალტევადობის შემცირება, მაღალი კონკურენტუნარიანობა, რაც საბოლოოდ უნდა გამოვლინდეს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხობრივად ახალი დონის მიღწევაში, ქვეყნის ტექნიკური ჩამორჩენილობის დაძლევაში.

ინოვაციური საქმიანობის გაფართოებისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების **კომპლექსური კონცეფციის** შექმნას, რაც უნდა ითვალისწინებდეს საკითხთა ფართო წრეს, როგორიცაა;

- მეცნიერული კვლევების ორიენტირება და მხარდაჭერა;
- სამეცნიერო–ტექნიკურ მიმართულებათა განვითარების რეგულირება და სტიმულირების სისტემის სრულყოფა;
- მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების შერჩევა;
- სახელმწიფო სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების და პროექტების ფორმირება და რეალიზაცია;
- ინტელექტუალური საკუთრების დაცვა;
- სტანდარტიზაციის, სერტიფიკაციის, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის, სალიცენზიო-საპატენტო საქმის ერთიანი სისტემის ფორმირება და მათი მართვა;
- მეცნიერულ-კვლევითი და სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის ფინანსირება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სხვა.

საქართველოში ინოვაციური საქმიანობის მხრივ სავსებით არასახარბიელო მდგომარეობაა: სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარების მსოფლიო დონის მაჩვენებლებს, ინოვაციებზე დანახარჯები ძალზე უმნიშვნელოა: მეცნიერულ კვლევებზე დანახარჯები ბოლო წლებში საშუალოდ შეადგენდა მშპ-ს მხოლოდ 0,2 პროცენტს, განვითარებულ ქვეყნებში კი ეს მაჩვენებელი 2-დან 5 პროცენტის ფარგლებშია, სახელმწიფო თავისთავზე იღებს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების 25-50 პროცენტს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა მეცნიერებატევად დარგებში (მანქანათმშენებლობა, ე-

ლექტრონიკა, ახალი მასალების წარმოება და სხვა), რომელთა განვითარება, შეიძლება ითქვას, შეჩერებულია. ერთადერთ დადებით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებით კვების მრეწველობის საწარმოების ამოქმედება და ფუნქციონირება (ფირმები: "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია", "ბაგრატიონი", "ამალთეა", "თბილღვინო", "ყაზბეგი-კასტელი", "ნატახტარი", "ბარამბო", "ზედაზენი"). განსაკუთრებული ყურადღებაა მისაქცევი სხვა გადამამუშავებელი დარგებისადმი, რომლებიც ფაქტიურად უსისტემოდ ფუნქციონირებენ.

ინოვაციური პროცესების განვითარებაზე უარყოფითი გავლენა იქონია დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მინიმუმამდე დაყვანამ, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსების უკიდურესად შემცირებამ, რამაც ხელი შეუწყო "ტვინების გადინებას" საზღვარგარეთ. ასევე აღნიშნულმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ინოვაციების გავრცელების შეზღუდულობა, ამ მიმართებით დაინტერესების არარსებობა.

ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის ნორმალურად განვითარება შეუძლებელია ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერის გარეშე – სწორედ ამას უნდა ითვალისწინებდეს სახელწიფო ინოვაციური პოლიტიკა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ასეთი რამ არ ჩანს. აუცილებლად მიგვაჩნია, არსებობდეს ხელისუფლებაში ინსტიტუციური ორგანო, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ინოვაციების გავრცელების სამუშაოებს. სამწუხაროდ, ჩვენთან მოხდა საპირისპირო რამ - საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით 2002 წელს შექმნილი "საქართველოს ინოვაციური სამსახური "საქინოვაცია" გაუქმებული იქნა 2004 წელს, ეს მაშინ როდესაც სამსახურმა ჩამოაყალიბა თავისი მუშაობის მიმართულება, შეიმუშავა "ინოვაციური პოლიტიკის კონცეფციის" პროექტი, რომლის განხილვა-დამტკიცება ზემოთ აღნიშნულის გამო ვერ მოხდა.

სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციისათვის მთავარია **ფინანსური მექანიზმის შემუშავება**, იგი უნდა წარმოიდგინოთ როგორც მთელი ინოვაციური ციკლის რესურსული უზრუნველყოფის სისტემა ინოვაციების შემუშავების, სამრეწველო წარმოების და საექსპლუატაციო გამოყენების ჩათვლით, როგორც პირდაპირი ფინანსირების, ასევე არაპირდაპირი რეგულირების მეთოდების გამოყენებით. ფინანსირების რადიკალური მოდელი „წმინდა საბაზრო" ან "წმინდა საბიუჯეტო" მიუღებელია, საბიუჯეტო ფინანსირებასთან ერთად გამოყენებული უნდა იქნეს სხვა წყაროები.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება **სახელმწიფო დაკვეთის**, როგორც სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტის როლის გაზრდას. მიზნობრივი სახელმწიფო ფინანსირების ობიექტებად უნდა იქცნენ სახელმწიფო ინოვაციური და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამები. მათ ძირითად შინაარსს შეადგენენ კონკურსის წესით შერჩეული პროექტები პრინციპულად ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიის და მასალების შექმნაზე ან პრაქტიკული შედეგების მიღწევა კომპლექსური, თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევებისას. ამ მიზნით მიზანშეწონილია სპეციალური საბიუჯეტო ფონდის შექმნა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს **სახელმწიფო ინოვაციური ფონდი** და იგი განკუთვნილი იქნება საკონკურსო საფუძველზე შერჩეული საინიციატივო პროგრამებისა და პროექტების რეალიზაციისათვის. ამ მხრივ ფორმები სხვადასხვაა: გრანტები მეცნიერული კვლევის ჩატარებისათვის, სუბსიდიები მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის, ცალკეული ახალგაზრდა ნიჭიერ მეცნიერთათვის შემწეობა და სხვა.

საკუთარი რესურსების მწვავე დეფიციტის პირობებში ინოვაციური საქმიანობის ფინანსირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს **სასესხო საშუალებები**. აქ საჭიროა სახელმწიფოებრივი ზემოქმედების ღონისძიებები, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზიების გაცემას ბანკებზე ინოვაციური სტრუქტურების მომსახურებაზე და სახელმწიფო გარანტიის მიცემას სტრატეგიული მიმართულებებით ინოვაციური საქმიანობისათვის.

სასესხო საშუალებებით ინოვაციური საქმიანობის ფინანსირების მეტად საინტერესო გამოცდილება არსებობს იაპონიაში. ქვეყანაში შეგნებულად, ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მიზნით ახალი ტექნოლოგიების დამუშავებაში გატარდა დაბალი საპროცენტო განაკვეთების პოლიტიკა. 1953-1991 წლებში იქ საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 1,12-ს. ამან დიდად შეუწყო ხელი ქვეყნის ეკონომიკის უსწრაფესი ტემპებით ზრდას, რამაც საფუძველი ჩაუყარა იაპონიის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალგანვითარებულ ქვეყნად გარდაქმნას.

ინოვაციური საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ უნდა იქცეს **საფონდო ბაზარი.** საბაზრო ეკონომიკაში ის წარმოადგენს ძირითად მაკროეკონომიკურ ინსტრუმენტს ეროვნული მეურნეობის მომავალი სტრუქტურის ფორმირებისათვის მაღალეფექტურ ახალშემონაღებთა ბაზაზე. ფაქტიურად საქართველოში ასეთი ბაზარი არ არსებობს. ყოველმხრივ ხელი უნდა შეეწყოს საფონ-

დო ბაზრის სეგმენტის განვითარებას, რომელიც დაკავშირებულია გრძელვადიან ფასიან ქაღალდებთან (აქციებთან, ვალდებულებებთან) და მათ ეფექტურ ვაჭრობას მეორად ბაზარზე.

ინოვაციური საქმიანობის ეკონომიკურ რეგულირებაში სახელმწიფოს როლის გაძლიერება მჭიდროდაა დაკავშირებული **საგადასახადო სისტემის** სრულყოფასთან ინოვაციურ სფეროში. საგადასახადო პოლიტიკამ ორიენტირება უნდა მისცეს ინოვაციური პროცესის მონაწილეებს იმ სამუშაოების შესრულებაში, რომლებიც რეალიზებას უკეთებენ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტულ მიმართულებებს, ახალი თაობის ტექნიკის შექმნას სახელმწიფო დაკვეთის შესაბამისად. ამ სამეურნეო სუბიექტებისათვის შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ასიგნებები საძიებო და საინიციატივო კვლევების ჩატარებისათვის, საცდელ-ექსპერიმენტული ბაზის განვითარების, სამეცნიერო ინტელექტუალური პოტენციალის აღწარმოებისათვის და სხვა. გარდა ამისა მათთვის უნდა დადგინდეს გადასახადების შემცირებული ტარიფები. ამასთან ერთად სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს სხვადასხვა ეკონომიკური სანქციები საკონტაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობის, სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის დაბალი ხარისხის, მისი ეკოლოგიის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო და სხვა.

სახელმწიფომ ყოველმხრივ უნდა იზრუნოს **მცირე ინოვაციური ბიზნესის** დამკვიდრებისათვის, რომელიც, როგორც საზღვარგარეთის გამოცდილება გვიჩვენებს, წარმოადგენს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის (სტპ) დაჩქარების სერიოზულ ფაქტორს ინოვაციურ სფეროში რეალური კონკურენციის შექმნის წყალობით. გარდა ამისა მცირე ინოვაციური საწარმოების განვითარება ხელს უწყობს კვალიფიცირებული სამეცნიერო-ტექნიკური კადრების ეფექტურ გამოყენებას, რომლებიც გამონთავისუფლდნენ სამეცნიერო-ორგანიზაციების პრივატიზაციის პროცესში, აგრეთვე სამეცნიერო-საწარმოო ინფრასტრუქტურის უფრო სრულ ამოქმედებას.

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის პრიორიტეტი უნდა გახდეს **ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება.** მხედველობაშია აუცილებელი ინფრასტრუქტურის ობიექტების შექმნა, რომლებიც საშუალებას მოგვცემს რეალიზებული იქნეს მთელი ინოვაციური პროცესი. საზღვარგარეთის გამოცდილებიდან გამომდინარე ასეთი სტრუქტურებია: ტექნოლოგიური პარკები, ტექნოლოგიური ცენტრები, ტექნოპოლისები, ე.წ. „ინკუბატორები", ვენჩურული ფირმები და სხვა. ინოვაციური ინფრასტრუქტურების ფართო ქსელები გააჩნიათ აშშ-ს, იაპონიას, გერმანიას, ისრაელის სახელმწიფოს.

ქვეყანაში ინოვაციური პროცესების სახელმწიფო რეგულირებისათვის აუცილებელია **ინსტიტუციური გარდაქმნების** ჩატარება, რაც ითვალისწინებს ინოვაციური პროცესის ყველა მონაწილის – მეცნიერების, შემმუშავებლების, მწარმოებლებისა და ინოვატორების ძალისხმევის კოორდინაციას ახალი პროდუქციის შემუშავების, შექმნის, სამრეწველო ათვისებისა და ბაზარზე გაყვანის საქმეში და საბოლოო ჯამში სოციალური და კომერციული შედეგების მიღებაში. ინოვაციური პროცესების მართვისათვის, სახელმწიფოს ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციების განხორციელებაში, ჩვენის აზრით, კონკრეტული ფუნქცია უნდა განესაზღვროს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (ინოვაციების გავრცელების, კომერციალიზაციის მექანიზმი, სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები), აქტიური როლი უნდა შეასრულონ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ (ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები, საკადრო უზრუნველყოფა), ფინანსთა სამინისტრომ (ფინანსური მექანიზმი), ეროვნულმა ბანკმა (სესხების მექანიზმი).

ინოვაციური სფეროსათვის **კადრები** ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი რესურსია. როგორც ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავებების ინოვაციურ პროდუქტად გარდაქმნის პროცესი, რომელსაც გააჩნია კომერციული მიმზიდველობა, თხოულობს პროფესიულად მომზადებული სპეციალისტების მონაწილეობას ისეთ სფეროებში, როგორიცაა ტექნიკური მარკეტინგი, ტექნოლოგიების ტრანსფერტი, სიახლეთა კომერციალიზაცია, ინოვაციური საქმიანობის მართვა როგორც მთლიანობაში, ისე ცალკეული ინოვაციური პროექტების მიხედვით, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ინოვაციური რისკების მართვა, მეწარმეობა.

ინოვაციური პოლიტიკა და ინოვაციების მართვა საწარმოში. ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს, რომ გასაღების ბაზრისათვის ბრძოლაში გამარჯვებული გამოდის ის საწარმო, რომელიც თავის საქმიანობას აგებს უპირატესად ინოვაციური მიდგომის საფუძველზე და სტრატეგიული გეგმის ძირითად ამოცანად აყენებს ახალი პროდუქციის შემუშავებას. მიმდინარე ეტაპზე საწარმოები მიდიან იმ გაგებამდე, რომ აუცილებელია ინოვაციურ საქმიანობაზე გადასვლა, ინოვაციების დანერგვა, რომელიც განიხილება როგორც კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთადერ-

თი გზა. ამიტომ საწარმოებმა, რომლებმაც გადალახეს ეკონომიკური სიძნელეები, დაიწყეს საკუთარი ძალებით პროდუქტული და ტექნოლოგიური ინოვაციების სფეროში მუშაობა და მიაღწიეს სერიოზულ წარმატებებს. ასეთი საწარმოების მაგალითებად ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ საქართველოს კვების მრეწველობის დარგის რამდენიმე საწარმო, მათ საკუთარი და უცხოური ინვესტიციების საფუძველზე უზრუნველყვეს ახალი ტექნოლოგიების დანერგვით კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვება.

თანამედროვე ეტაპზე საწარმოებში ინოვაციური საქმიანობის წარმართვა გარდაუვალი აუცილებლობაა, სწორედ ინოვაციების მართვა არის წარმოების მაღალი ეფექტიანობის შენარჩუნების გასაღები.

21-ე საუკუნეში მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს ცვლილებები ინოვაციების მართვის ფორმებსა და მეთოდებში, ასევე **ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგის**. მეთოდების ათვისებაში. ეს უმსუბუქებს საწარმოებს გარეშე გარემოს მუდმივ ცვლილებებთან ადაპტირებას. რეგულირებადი ბაზრის პრობლემების გადაწყვეტისადმი გრძელვადიანი მიდგომის პრიორიტეტი იძლევა საშუალებას საწარმო გამოვიდეს ეკონომიკური კრიზისიდან, განხორციელდეს წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარდაქმნა, ამაღლდეს საწარმოთა და სამეცნიერო-ტექნიკურ ორგანიზაციათა კონკურენტუნარიანობა, მოდერნიზაცია გაუკეთდეს მეცნიერებატევადი დარგების საწარმოებს, რაციონალიზირებული იქნეს რესურსმოხმარება.

ინოვაციებს პირობითად ყოფენ ორ დონედ:

- პირველ დონეს მიეკუთვნება ახალი აღმოჩენები, გამოგონებები, იდეები, რომლებიც პირველად ინერგება წარმოებაში. ინოვატორები, რომლებიც პირველად ნერგავენ მათ, ღებულობენ უპირატესობას;

- მეორე დონეს მიეკუთვნება გამოგონებები, ნოუ-ჰაუ, იდეები, რომლებიც ინერგება განმეორებით. მათ ნერგავენ საწარმოები, იმიტატორები; ასეთი სიახლეები არ წარმოადგენენ ახალს მსოფლიოში, მაგრამ შეიძლება ქვეყნისათვის, საწარმოსათვის ინოვაციად იყოს წარმოდგენილი. მეორე დონის ინოვაციების დანერგვა სავალდებულოდ გადაიქცევა ყველა იმ საწარმოსათვის, რომელთაც სურთ გაუძლონ კონკურენციას. ამით განისაზღვრება ინოვაციების მართვის პრობლემის აქტუალობა, საწარმოში ინოვაციების მართვის სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა.

ნათელია,რომ კრიზისული სიტუაციები ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება პედიოდულად განმეორდეს, რაც უარყოფითად მოქმედებს საწარმოებზე, მაგრამ ინოვატორი საწარმოები ყოველთვის მზად არიან ადაპტირებისათვის, როგორც საწარმოს შიგნით, ისე გარეშე გარემოსთან.

საბაზრო ეკონომიკა მოითხოვს ინოვაციებთან დამოკიდებულებაში წარმოების მოქნილობის და სიახლეთა ათვისების უნარის ამაღლებას. ინოვაციებისადმი არასაკმარის ყურადღებას საწარმო მიჰყავს არამარტო გაყიდვების მოცულობის დაცემამდე, არამედ იგი შეიძლება გადაიქცეს მომავალში გლობალური კრიზისის წარმოშობის საფუძვლად.

საწარმოს ინოვაციური პოლიტიკა წარმოადგენს საწარმოს ინოვაციური სტრატეგიის მიზნების და პრიორიტეტული პროგრამების და პროექტების ხელშეწყობის მექანიზმების განსაზღვრას საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ.

მსოფლიო პრაქტიკაში ასრებობს ორი მიდგომა საწარმოში სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის შემუშავება-რეალიზაციის და ინოვაციის დანერგვისადმი:

1 - როდესაც მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ ფირმები-ინოვატორები, რომლებიც პირველები ნერგავენ ინოვაციებს თავიანთ საწარმოებში. მათი მოქმედება სტიმულირდება დროებითი მნიშვნელოვანი მოგებების მიღების შესაძლებლობებით. ეს მიდგომა აკავშირებს ინოვაციის დანერგვას და მის შემდგომ გავრცელებას წარმოების დანახარჯების სწრაფად და არსებითად შემცირებასთან ან სწრაფ საბაზრო წარმატებასთან, რაც ვლინდება მოთხოვნის შესამჩნევად გაზრდით. ამასთან სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი წარმოადგენს ტექნოლოგიის ნახტომისებურ ცვლილებას, ძველი პროდუქტების ახლით შეცვლას.

2 - როდესაც ინოვაციის დანერგვისა და მისი შემდგომი გავრცელების პროცესი დაკავშირებულია უწინარესად ბაზრის მცირე სეგმენტის დაკმაყოფილების შესაძლებლობასთან და მინიმალური მოგების მიღებასთან. შემდგომში სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკა მარკეტინგის პოლიტიკასთან ერთად ორიენტირდება გრძელვადიანად ბაზრის უფრო დიდ სეგმენტებზე, რამაც უნდა მიიყვანოს საწარმო მოგების გადიდებამდე. ასეთი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკა გულისხმობს საწარმოებისათვის გრძელვადიან და მდგრადი სტრატეგიის არსებობას სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში და ამ შემთხვევაში საწარმოს სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკა განიხილება არა როგორც ნახტომისებური პროცესი, არამედ უწყვეტი პროცესი.

საწარმოს სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტკის ფორმირებისას გადაწყვეტილების მიღება ინოვაციის რეალიზაციის აუცილებლობაზე და მის საფუძ-

ველზე ახალი პროდუქტის გამოშვება პრაქტიკულად რთული ამოცანაა. სიახლის მცირე ხარისხითაც კი ნაწარმის შექმნა წარმოშობს სირთულეებს მისი დამზადებისა და გავრცელების პრიორიტეტული ვარიანტის შერჩევისას, კიდევ უფრო რთულია გადაწყვეტილების მიღება პრინციპულად ახალი პროდუქტის წარმოების თაობაზე.

ყოველი ახალი იდეის წარმოშობა დაკავშირებულია: ახალი მოთხოვნების გამოჩენასთან, (მაგალითად ახალი პროდუქციის წარმოების ან ახალი საწარმოო პროცესის გამოყენების იდეები), აგრეთვე იმ მეთოდის გამოვლენასთან, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება უკვე ნაცნობი მოთხოვნების დაკმაყოფილება ან რეალიზებულია არსებული შეაძლებლობა. პრობლემა უპირველესად არა ახალი იდეების შეფასებაშია, არამედ ახალი იდეების, ინიციტივების, წინადადებების სტიმულირებაში.

მენეჯმენტის შესწავლას, განსაკუთრებით ინოვაციური მენეჯმენტისა, გააჩნია პირველხარისხოვანი მნიშვნელობა სპეციალისტების მომზადებისათვის საბაზრო ეკონომიკის განვითარების პირობებში. ინოვაციური მენეჯმენტის პოტენციალის ეფექტიანი გამოყენებისათვის აუცილებელია საწარმოს სამეცნიერო-საწარმოო კოლექტივის აქტიური მონაწილეობა. ადამიანთა საქმიანობის მართვა მენეჯერისაგან მოითხოვს განსაკუთრებით მაღალ პროფესიონალიზმს, მის მიერ მართვისა და სამეწარმეო მეთოდების ფართო არსენალის გამოყენებას. ინოვაციური მენეჯმენტის, როგორც მეცნიერების დანერგვასთან ამჟამად დაკავშირებულია უზარმაზარი ეკონომიკური მიღწევები, რევოლუციური ტექნიკური და ტექნოლოგიური ცვლილებები, საწარმოო-ტექნიკური განვითარებისადმი ახალი მიდგომები, შემოქმედებითი ინდივიდუალობის ფორმირება და სხვა. თანამედროვე ინოვაციური მენეჯმენტის შესაძლებლობების გამოყენებას ფირმისათვის სულ უფრო მეტად მოაქვს დიდი სამეურნეო ეფექტი. ინოვაციური მენეჯმენტი მნიშვნელოვანი ფაქტორია სამეცნიერო-საწარმოო და სოციალური პრობლემების გადაწყვეტისათვის საწარმოო კოლექტივებში და მთლიან საზოგადოებაში, მაგრამ მეცნიერების პოტენციალი და მისი პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობა სხვადასხვა საქმეა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ მისი დაუფლება აუცილებელია როგორც საწარმოს მენეჯმენტის, ისე უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური და ტექნიკური პროფილის სტუდენტებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. აბრალავა, ლ. გვაჯაია, რ. ქუთათელაძე. საინოვაციო მენეჯმენტი. თბილისი, 2009;
2. ე. ბარათაშვილი, ვ. დათაშვილი, გ. ნაკაიძე, რ. ქუთათელაძე. ინოვაციების მენეჯმენტი. თბილისი, 2008;
3. ლ. გვაჯაია. საინოვაციო საქმიანობის ორგანიზაცია საწარმოში. ჟ. "სოციალური ეკონომიკა". №2, 2009;
4. ლ. გვაჯაია. ინოვაციური პროცესების სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტები. ჟ."ინოვაცია". №1, 2003;
5. Основы инновационного менеджмента. Под редакцией П.Н. Завлина. Москва, 2000;
6. В. Г. Медынский. Инновационный менеджмент. Москва. 2008.

INNOVATION POLICY

L. GVAJAIA
Associate Professor

The article proves the necessity of development of economics with innovation techniques in the modern days. Innovation policy of state is considered the basic lever of such development.

The basic aims, principles and purposes of state's innovation policy are considered as the part of country's social-economical policy. The main trends of complex concept of scientific-technical development are accentuated. Besides, activities necessary for realization of state's innovation policy are considered. Such activities are establishment of financial mechanisms, development of innovation facilities, institutional transformations, etc.

The article considers the problems, such as management of innovations in industry and adopting the innovation policy. According to the article, it's necessary to prepare the specialists of innovation management.